

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს როინ მეტრეველის გამოსვლის სიტყვა, შავი ზღვის აუზის წევრი ქვეყნების (BSEC) მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტების პირველ შეხვედრაზე**

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნების ეს შეხვედრა მეტად საჭირო და აქტუალურ პრობლემას - ამ ქვეყნების სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობის გაღრმავებას ეძღვნება. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მიესალმება ამ გადაწყვეტილებას და გამოხატავს მზაობას თავისი წვლილი შეიტანოს აღნიშნული თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და შემდგომ გაფართოებაში. აკადემია, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მრჩეველს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგში, ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების ყველა ძირითად სფეროს აერთიანებს, მასთან ფუნქციონირებს ცენტრები, კომიტეტები და კომისიები მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებების, სახელდობრ, ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი, სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო საბჭო, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი, აგრეთვე, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების პრობლემების, ეკოლოგიური უსაფრთხოების, ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის, საგზაო-სატრანსპორტო სისტემების სრულყოფისა და განვითარების, ეროვნულ პრობლემათა, საქართველოს ისტორიის წყაროების, ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის, საქართველოს (კავკასიის) მოსახლეობის გენოფონდის, საქართველოს მთიანეთის, შავი და ხმელთაშუა ზღვების რეგიონის ცივილიზაციების, მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიები. აკადემია არის წევრი საერთაშორისო ორგანიზაციებისა: ALLEA - ევროპის აკადემიების ფედერაცია, AASSA - აზიის მეცნიერებათა აკადემიების და საზოგადოებების ასოციაცია, IAP - აკადემიათაშორისი ქსელი, IAU - აკადემიების საერთაშორისო გაერთიანება, ICSU - მეცნიერებათა საერთაშორისო საბჭო, TWAS - მსოფლიო მეცნიერებათა აკადემია, (MAAH) - მეცნიერებათა აკადემიების საერთაშორისო ასოციაცია. აკადემიის წევრები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით, არიან მრავალი საერთაშორისო ქართულ-უცხოური და უცხოური პერიოდული გამოცემების რედაქტორები თუ სარედაქციო კოლეგიის წევრები, არჩეული არიან უცხოეთის მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის წევრებად, მინიჭებული აქვთ საპატიო დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და სხვა. აკადემია აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების ჩარჩო პროგრამის "Horizon 2020-2027" ძირითადი პრიორიტეტების - საზოგადოებრივ და გლობალურ გამოწვევებთან (კლიმატის ცვლილებები, ჯანმრთელობა და ენერჯეტიკა) დაკავშირებულ საკითხების კვლევაში.

ასე რომ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას შესწევს უნარი ნაყოფიერად ითანამშრომლოს ბისეკის ქვეყნების მოწინავე სამეცნიერო და

საგანმანათლებლო ცენტრებთან რეგიონის წინაშე მდგარი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

ბისეკმა რეგიონული თანამშრომლობის შთამბეჭდავი მაგალითები მოგვცა, რომელთა შორის გამოვყოფდი ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC), ბაქო-თბილისი-სუფსის (BTS), ბაქო-თბილისი-ერზრუმის (BTE) წარმატებულ პროექტებს, აგრეთვე, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტს, რომელთა განხორციელებაში მეცნიერების სათანადო დარგების მიღწევებმა საპატიო წვლილი შეიტანა.

“შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას” დიდი პოტენციალი გააჩნია ურთიერთსასარგებლო რეგიონული კვლევითი პროექტების განხორციელებისათვის.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ქვეყნების წინაშე მრავალი საერთო გამოწვევა არსებობს. მათთან გამკლავების საერთო პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ჩვენი ქვეყნების სამეცნიერო და საგანმანათლებლო რესურსების ინტეგრაციას.

ადამიანის სასიცოცხლო გარემოს დაცვა, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთი გლობალური გამოწვევაა, რა თქმა უნდა, გამოწვევად რჩება შავი ზღვის ქვეყნებისთვისაც. გარემოს გაუმჯობესებისათვის ამ ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს მეცნიერები აწარმოებენ უამრავ კვლევებს, იქმნება ახალ-ახალი დარგები, რომლებიც მიმართულნი არიან კლიმატის გაჯანსაღებისაკენ, რაც უაღრესად სასარგებლოა, მაგრამ მათი ეფექტიანობის ასამაღლებლად აუცილებელია საერთო კვლევითი პროექტების შემუშავება და მათი განხორციელებისათვის ხელშეწყობა. ჩვენ გვაერთიანებს არა მარტო ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანები, არამედ გვაერთიანებს შავი ზღვაც. შეგახსენებთ, რომ 1996 წ. შავი ზღვის აუზის ქვეყნებმა ხელი მოაწერეს შავი ზღვის დაცვის სტრატეგიულ გეგმას. შავი ზღვის უნიკალური ეკოსისტემის შენარჩუნება ჩვენი საერთო პრობლემაა, რომლის მოგვარებაში მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნების სამეცნიერო პოტენციალის გაერთიანება.

ეკოლოგიური ბრობლემის გადაწყვეტის საქმეში არსებითი წვლილი შეაქვს მწვანე ეკონომიკას, რომლის დინამიური განვითარებისთვის მეცნიერული საფუძვლების შემუშავებაში ფართო ასპარეზი უნდა მიეცეს ბისეკის ქვეყნების კვლევითი ცენტრების მჭიდრო თანამშრომლობას.

საქართველომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში აჩვენა მზარდი ინტერესი მწვანე ენერგეტიკის მიმართ, ცდილობს ენერჯის წყაროების დივერსიფიკაციას, გარემოზე ზემოქმედების შემცირებას და ენერგეტიკის სექტორის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას; თავისი მდინარეების პოტენციალის ენერჯის გამომუშავებისთვის გამოყენებას. ჰიდროელექტროსადგურები გახდა ენერჯის მნიშვნელოვანი წყარო.

საქართველოს აქვს მზისა და ქარის ენერჯის გამომუშავების მნიშვნელოვანი პოტენციალიც.

ამ სფეროში თანამშრომლობის პერსექტიულობაზე მეტყველებს გასულ წელს ხემოწერილი შეთანხმება საქართველოს, აზერბაიჯანს, რუმინეთსა და უნგრეთს შორის „მწვანე ენერჯის განვითარებისა და გადაცემის სფეროში

სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“, რომლის შედეგია მსოფლიოში ყველაზე გრძელი ელექტროენერჯის გამტარი კაბელის მშენებლობის დაწყება შავ ზღვაში.

საქართველოში არის ტექნოლოგიური, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული გამოწვევებიც, რაც მოითხოვს გადაწყვეტილებებს განახლებადი ენერჯის პოტენციალის მაქსიმალურად გაზრდისთვის. ეს კი ის სივრცეა, სადაც ბისეკის ქვეყნებთან მეცნიერული თანამშრომლობა არათუ სასურველი, აუცილებელიცაა, რამდენადაც ამ პროექტების წარმატებით განხორციელება საქართველოს შესაძლებლობას შეუქმნის, მწვანე ენერჯის მეზობელ ქვეყნებში გასატანად.

უაღრესად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა მეცნიერებატევადი ციფრული ეკონომიკის განვითარებაში, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს რეგიონი ქვეყნების ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

დიდი პოტენციალი გააჩნია ბისეკის ქვეყნების მეცნიერთა ინტეგრაციას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გავრცელების მიმართულებით. ამ სფეროში თანამშრომლობისთვის საქართველოში ხელსაყრელი პირობები არსებობს, მაგალითისთვის დავასახელებ სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია “გრენას”, რომლის ქსელში გაერთიანებულია საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტები, საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ფონდები, სამინისტროები. ასოციაცია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქმნის კომპიუტერული ქსელის ინფრასტრუქტურას, რომელიც აკავშირებს საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს, ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს და სხვა არაკომერციულ ინსტიტუტებს ერთ საინფორმაციო სისტემად. იგი ხელს უწყობს საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებში საინფორმაციო ცენტრების და ლოკალური ქსელების განვითარებას, აკავშირებს რამათ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო ქსელებთან. ის ჩართულია არაერთ საერთაშორისო პროექტში, მათ შორის, “შავი ზღვის ურთიერთკავშირი”-ს განხორციელებაში. „გრენა“ უზრუნველყოფს სათანადო კადრების მომზადებას, მომხმარებელს სთავაზობს ორ საფეხურიან სწავლებას CCNA-სა და Network Security-ის სერტიფიცირებული პროგრამებით. ის, ამ ტიპის სხვა ასოციაციებთან ერთად, მნიშვნელოვან ბაზას ქმნის აღნიშნული მიმართულებით საქართველოს მხრიდან ბისეკის ქვეყნებთან მყარი და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის, რომლის მიზანია განათლების, სწავლებისა და ცოდნის მიწოდების ერთიანი კომპიუტერული ბაზების შექმნა.

ჩვენი ქვეყნების სამეცნიერო ძალების ინტეგრაციიდან თვალსაჩინო შედეგებს უნდა ველოდოთ ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროში. დღეს მეცნიერება და ინოვაცია ქმნის ერთიან გლობალურ კომპლექსს, რომელშიც ახალი იდეები და აღმოჩენები, მიუხედავად შეზღუდვებისა და აკრძალვებისა, საკმაოდ სწრაფად ხდება მსოფლიო მეცნიერების კუთვნილება და საყოველთაო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გაძლიერების ფაქტორი.

ტექნიკურად უსაფრთხო ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ხარისხობრივად ახალი სოციალური მიმართულებაა. ინოვაციური საქმიანობის სწორედ ამ სფეროში, როგორც არსად,

საჭიროა რეგიონალური თანამშრომლობა, რათა თავიდან ავიცილოთ ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების არასრულყოფილად ჩატარებული კვლევების თანმხლები რისკები, როდესაც ასეთი ტექნოლოგიების გამოყენება შეიძლება დამლუპველი აღმოჩნდეს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის. კომპლექსურადაა შესასწავლი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ერთიანი სისტემის განვითარების ევოლუცია საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე.

აღიარებულია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების პროცესები მიმართულია ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკისკენ, აღინიშნება უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა. გარდა ამისა, მეცნიერება, ტექნოლოგიები და ინოვაციები ხელს უწყობენ მდგრად განვითარებას განათლების ხარისხის გაუმჯობესებით და კონკრეტული პრობლემების გადაჭრის ეფექტური მეთოდების დანერგვით. მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების პოტენციური ზემოქმედება საზოგადოებაზე კომპლექსური და მრავალგანზომილებიანია. თავის მხრივ, საზოგადოების მიერ მათ ცხოვრებაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციებისათვის მინიჭებული მნიშვნელობა, ერთი მხრივ, ზეგავლენას ახდენს ამ საზოგადოების განვითარების შესაძლებლობებზე და, მეორე მხრივ, სათანადოდ ასახავს ქვეყნის კულტურას, კეთილდღეობას და ეკონომიკას. აუცილებელია მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ერთიანი ხედვისა და ინტეგრირებული კონცეფციის შემუშავება და მის ბაზაზე ბალანსირებული პოლიტიკის გატარება საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და ეკონომიკური პროგრესისათვის.

ფართო პერსპექტივა გააჩნია ბისეკის ქვეყნების სამეცნიერო ცენტრების მიერ ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, კერძოდ, ისტორიაში, არქეოლოგიაში, კულტუროლოგიაში და ა. შ. სახელდობრ, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ეროვნული კულტურისა და იდენტობის შენარჩუნების გზებისა და ფორმების ძიება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით ინტეგრირებული პროექტების განხორციელება და სხვა.

“შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას” დიდი პოტენციალი გააჩნია მეცნიერებისა და განათლების სფეროში ურთიერთსასარგებლო რეგიონული პროექტების შემუშავებისა და განხორციელებისათვის. იმედია, რომ დღევანდელი ფორუმი ფართო გასაქანს მისცემს ამ თანამშრომლობას.